

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2010 წლის „სოფლის მხარდაჭერის
პროგრამის“ განხორციელების ანგარიში

2010 წელს უკვე მეორედ, წარმატებით განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით დანერგილი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ყოფითი პრობლემების მოგვარებაში ხელისუფლების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა და დახმარება. ამასთან ყველა პრობლემის გადაჭრასა და მოგვარებაში მოსახლეობის მაქსიმალური აქტიურობა და ჩართულობა, თავისთავად დემოკრატიული პროცესების გაფართოებასა და გაღრმავებას ემსახურება.

პროგრამის მიხედვით სოფლის თითოეული ზრდასრული მოქალაქე არა მარტო აქტიურადაა ჩართული შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრასა და შერჩევაში, არამედ შესაძლებლობა აქვს მაქსიმალურად აკონტროლოს თანხების ხარჯვა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი.

2010 წელში 2009 წლთან შედარებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები გაორმაგდა, რამაც საშუალება მოგვცა წარმატებით გადაგვეჭრა არაერთი სოციალურ-ეკონომიკური საკითხი.

მოსახლეობის მაღალი აქტივობით ჩატარდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხებით შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრისა და შერჩევისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ყველა სოფელში მოეწყო მოსახლეობის წინასწარი წერილობითი გამოკითხვები და საერთო კრებები. აღნიშნულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ და ხალხის წინადადებებს აანალიზებდნენ სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელები და სპეციალისტები, თემების მაჟორიტარი დეპუტატები.

სოფლის მცხოვრებთა ნება სურვილით, მოსაზრებებით და წინადადებებით შეირჩა შესასრულებელი სამუშაოები, ძირითად პრიორიტეტებად განისაზღვრა სასოფლო და საუბნო გზების შეკეთება, სასაფლაოების შემოკავება, წყალსადენების აღდგენა, სოფლების ცენტრალური ქუჩების გარე განათება, ნაპირსამაგრი

სამუშაოები, სარიტუალო ჭურჭლის შექმნა, ამბულატორიებისა და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია და სხვა.

ყველა სოფელში არჩეულ იქნა საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევდნენ შესასრულებელი სამუშაოების მიმდინარეობას და ხარისხს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტების მიერ თემის რწმუნებულებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით შედგენილ იქნა შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვები და პროექტები. დაიდო ხელშეკრულებები ინდ. მეწარმეებთან და სამუშაოთა შემსრულებლებთან, რომლითაც განისაზღვრა სამუშაოთა დასრულების კონკრეტული ვადები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ყველა სამუშაო ორი სამი გამონაკლისის გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მონაცემებთან სრულ შესაბამისობაში განხორციელდა.

სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ პროგრამით განხორციელდა 86 პროექტი, რაზედაც დაიხარჯა 387 721 ლარი.

მათ შორის:

1. სოფლის წყალსადენების რეაბილიტაცია 13 პროექტი.

სოფლებში: კაჩაეთი, კლდისუბანი, სადმელი, ღვარდია, ქვემო ჟოშხა, დიდი ჩორჯო, პატარა ჩორჯო, სხარტალი, კვირიკწმინდა, ველევი, წესი, ზედა ჭყვიში- დაიხარჯა 70 319 ლარი.

2. სასოფლო და საუბნო გზების შეკეთება-18 პროექტი.

სოფლებში: ბუგეული, ბეთლევი, ახალსოფელი, გორი, ქვემო კრიხი, ლიხეთი, ზემო სხვავა, ფუტიეთი, გოგოლეთი, ზედა ღვარდია, აგარა, ჭელიაღელე, ზემო ჟოშხა, კვაცხუთი, ხიმში, ხოტევი - დაიხარჯა 78 871 ლარი;

3. ხიდების და ბოგირების აღდგენა-4 პროექტი.

სოფლებში: ბარეული, ზემო სხვავა, თხმორი, შუა სხვავა- დაიხარჯა 12 416 ლარი

4. სოფლის ცენტრალური ქუჩების გარე განათების მოწყობა 10 პროექტი.

სოფლებში: ნიკორწმინდა, ახალსოფელი, იწა, ლიხეთი, ძირაგეული, წესი, ჭყვიში, პირველი ტოლა, მეორე ტოლა, ჭრებალო, ქვიშარი- დაიხარჯა 60 389 ლარი;

5. სასაფლაოების შემოღობვა- 8 პროექტი.

სოფლებში: შხივანა, ხონჭიორი, აბარი, წესი, ხვანჭკარა, ჭრებალო, ქვედა შავრა, კაჩაეთი-დაიხარჯა 32 360 ლარი.

6. სარიტუალო მოწყობილობის შექმნა- 13 პროექტი.

სოფლებში: მოტყიარი, ქვემო კრიხი, შუა კრიხი, ლიხეთი, ურავი, ზედა შავრა, ბოსტანა, ბაჯი, პატარა ონი, ტბეთი, მუხლი, უყემი, ჭყვიში დაიხარჯა-55 685 ლარი.

7. ამბულატორიების შენობების სარემონტო სამუშაოები- 3 პროექტი.

სოფლებში: ზედა და ქვედა თლული, ტბეთი- დაიხარჯა-13 199 ლარი;

8. ნაპირსამაგრი სამუშაოები- 2 პროექტი

სოფლებში: ზნაკვა-მდ. ზნაკურაზე და გენდუშში სასოფლო გზაზე- დაიხარჯა 10 778 ლარი.

9. კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია- 2 პროექტი

სოფლებში: საკეცია, ცახი- დაიხარჯა 11 593 ლარი;

10. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების აღდგენა-4 პროექტი;

სოფლებში: ქედისუბანი, ჯვარისა, ზემო კრიხი, ქვიშარი- დაიხარჯა 17 055 ლარი;

11 სოფლის წისქვილების აღდგენა-4 პროექტი

სოფლებში: ნამანევი, ქვედა შავრა, ლადიში, წკადისი- დაიხარჯა 9 254 ლარი.

12. სხვა პროექტები-5

სოფლებში: აბანოეთი-გოგირდოვანი აბანოს მოწყობა, ქვემო კრიხი-პლასტმასის მილების შესყიდვა, ლადიში- სოფლის თავშეყრის ადგილის მოწყობა, კვაცხუთი-სოფლის სასაფლაოზე სველი წერტილის და ფარდულის შეკეთება, შუა სხვადა-სოფლის მოსაცდელის გაკეთება-დაიხარჯა 15 155 ლარი.